Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#12, მაისი, 2020

ამერიკის მიერ ირანისთვის დაწესებულ სანქციათა მიზეზები და თანმდევი შედეგები

მარიამ ოქროპირიძე

სოფიკო თავშავაძე

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: mariami.oqropiridze876@sps.tsu.edu.ge

sopiko.tavshavadze958@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ირანისთვის სანქციათა დაწესების მიზეზებისა და ამ პროცესების თანმდევი, შესაბამისი შედეგების გაანალიზებას მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე. საზოგადოდ ცნობილია, რომ ირანის ურთიერთობა მთელ რიგ სახელმწიფოებთან თავისებური კომპლექსურობით ხასიათდება. მისი ურთიერთობა განსაკუთრებით დაძაბულია ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ერთ დროს მოკავშირეებად აღქმული სახელმწიფოების ურთიერთობის ერთგვარ გარდამტეხ წერტილად აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ 1953 წელს განხორციელებული ოპერაცია - „აიაქსი“ და 1979 წლის ისლამური რევოლუცია მიიჩნევა, რომლის შემდეგაც ირანი ბირთვულ იარაღთან დააკავშირეს. ამერიკა, როგორც ჰეგემონი სახელმწიფო, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში საკუთარი ინტერესების გატარებასა და მდგომარეობის სტაბილიზაციას ცდილობს, ხოლო ირანი და მის მიერ გატარებული საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა მუდმივად განიხილება აშშ-ის მთავრობის ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორად აღნიშნულ რეგიონში. ეს უკანასკნელი კი ირანს საერთაშორისო სანქციების გატარებით პასუხობს. მათი რიცხვი დროთა სვლის პარალელურად და სიმძიმის ხარისხის პირდაპირპროპორციულად იზრდება. აღნიშნული ნაშრომის მიზანია გავარკვიოთ, კონკრეტულად რა იწვევს ამერიკის მხრიდან ირანის ისლამურ რესპუბლიკაზე დაწესებულ მკაცრ სანქციებს, რას ემსახურება იგი და რამდენად ეფექტურია ამერიკის აღნიშნული ქმედება ირანის წინააღმდეგ. სტატიის გაცნობისას მკითხველი დაინახავს, რომ ათწლეულების განმავლობაში ამერიკის საპასუხო რეაქციას ირანის მიმართ, ძირითადად, ერთი და იგივე მიზეზები თუ მიზანი განაპირობებდა, შედეგი კი თითქმის ყოველთვის ცალსახა, ნათელი და მსგავსი იყო.

საკვანძო სიტყვები: საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო სანქციები, ახლო აღმოსავლეთი, აშშ, ირანი.

შესავალი

ირანის ურთიერთობები მთელ რიგ სახელმწიფოებთან კომპლექსურობით გამოირჩევა. უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით დაძაბულია მისი კავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებთან. მათ ურთიერთობას საფუძვლად მრავალწლიანი ისტორია უდევს, რომელიც, ძირითადად, მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებიდან იწყება. ქვეყნები თავდაპირველად ერთმანეთს მოკავშირეებად აღიქვამდნენ. ურთიერთობის ერთგვარ გარდამტეხ წერტილად ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ 1953 წელს განხორციელებული ოპერაცია - „აიაქსი“ იქცა, როდესაც აშშ-მა ირანში მოჰამედ მოსადიკის ხელისუფლება ორგანიზებული გადატრიალების ფონზე ჩამოაგდო (გოგილავა, 2019).

ირანის ინტერესებში მუდმივად შედიოდა მმართველი პოზიციების შენარჩუნება ახლო აღმოსავლეთში. ამგვარად, იგი ყოველთვის ეცილებოდა ამერიკას რეგიონში ჰეგემონობას და, შესაბამისად, მისთვის აღნიშნულ ტერიტორიაზე არასასურველ სიტუაციას ქმნიდა და დღესაც ქმნის. ამ ორ სახელმწიფოს შორის ვითარება მნიშვნელოვნად მას შემდეგ დაიძაბა, რაც ირანში ისლამური რევოლუცია მოხდა 1979 წელს, რის შემდეგაც ქვეყანა ბირთვულ პროგრამასთან დააკავშირეს (BBC, 2020). ამის გამო, ამ უკანასკნელს აშშ-მა და ევროპის სახელმწიფოებმა ეკონომიკური სანქციები დაუწესეს. ერთ დროს მოკავშირეებად აღქმული ქვეყნები ახლა პოტენციურ მტრებად გადაიქცნენ. ყველაფრის მიუხედავად, ირანი მაინც ახერხებდა ეკონომიკური საქმიანობის წარმოებას, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებთან ურთიერთობას და ნავთობპროდუქტების რეალიზებას ზოგიერთ სახელმწიფოში. ბირთვულ პროგრამასთან კავშირის გამო სახელმწიფოთა ირანთან თანამშრომლობა ისეთი მარტივი აღარ იყო, რაც ბოლო დროს კვლავ დაწესებულმა სანქციებმა კიდევ უფრო გაართულა. ამას თან დაერთო ამერიკის იმჟამინდელი პრეზიდენტის მკაცრი გაფრთხილებაც ქვეყნებისთვის, შეეწყვიტათ ყველანაირი ეკონომიკური თუ პოლიტიკური კავშირი ირანთან (გოგოხია, 2019).

2018 წელს ირანის მიმართ დაწესებული სანქციები, რომლებზე პასუხისმგებლობაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ირანს 2015 წლის ბირთვული შეთანხმების ცალმხრივად დატოვების შემდეგ მალევე დააკისრა, ქვეყნისთვის სავალალო

აღმოჩნდა. მთელი რიგი ფაქტორების გამო, რომელთაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ, ორ ქვეყანას შორის დაძაბულობამ ძალზედ სერიოზული სახე მიიღო და მათ შორის შესაძლო განვითარებულ ბირთვულ დაპირისპირებაზე მთელი მსოფლიო აალაპარაკა.

ეკონომიკური სანქციები ხშირად განიხილება ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის ინსტრუმენტად, მაგრამ ჩვენი კვლევის მთავარი კითხვებია: კონკრეტულად რა მიზანს ემსახურება იგი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ირანის ურთიერთობების შემთხვევაში? რამდენად ეფექტურია ეს სანქციები? რა შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს აღნიშნულმა ზემოხსენებული სახელმწიფოები?

ლიტერატურის მიმოხილვა

რადგანაც ირანსა და აშშ-ს შორის დაძაბული ურთიერთობა უკვე რამდენიმე დეკადას ითვლის, ბუნებრივია, იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიზანს ემსახურება აშშ-ის მიერ ისლამური სახელმწიფოს მიმართ გატარებული პოლიტიკა, დღემდე უამრავმა ექსპერტმა თუ სამეცნიერო მოღვაწემ დააფიქსირა საკუთარი ხედვა-მოსაზრებანი. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ აკბარ თორბათი, რომელმაც 2005 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი, სახელწოდებით „ამერიკის სავაჭრო და ფინანსური სანქციების გავლენა ირანზე“. კვლევაში იგი ხაზს უსვამს, რომ აშშ-ის აღნიშნული ქმედება ემსახურება მცდელობას, ხელი ააღებინოს ირანს ისლამურ ფუნდამენტალიზმზე მთელი რეგიონის მასშტაბით, სანაცვლოდ კი განავითაროს მასთან მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა. მისივე შეფასებით, სავაჭრო სანქციებთან შედარებით ფინანსურმა სანქციებმა ბევრად მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო, თუმცა პოლიტიკური კურსის ცვლილებაზე მისი გავლენა მინიმალური აღმოჩნდა და უფრო მეტად ეკონომიკური ეფექტი იქონია (Torbat, 2005). აგრეთვე, ბრაიან გოლდმა მის მიერ 2012 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „მნიშვნელოვანი ირანული სანქციები 1995 წლიდან“, ისაუბრა ენერგეტიკული სანქციების, როგორც ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირების შემაფერხებელი საშუალების მნიშვნელობაზე. აღნიშნული ირანს საერთაშორისო საბანკო თუ საფინანსო სისტემასთან წვდომას

უზღუდავდა, რაც ირანის, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები აღნიშნავს, ეროვნული საშიშროების პოზიციების გაძლიერების აღკვეთას ისახავდა მიზნად (Gold, 2012).

2017 წელს აღნიშნული თემის შესახებ გამოქვეყნდა ეკონომიკის აკადემიური დოქტორის, ამბროსი გრიშიკაშვილის ნაშრომი - „XX საუკუნის ირანის პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორია თანამედროვე პრობლემატიკის კონტექსტით“. ავტორმა აშშ-ის ქმედებებში დაინახა მისი სურვილი, მოეხდინა ირანის ეკონომიკური თუ სამხედრო მოქმედებების დაბლოკვა, ხოლო გატარებული რბილი პოლიტიკით მას მსოფლიო ასპარეზზე ისეთ მშვიდობისმყოფელ სახელმწიფოდ წარმოჩენა სურდა, რომელიც პრობლემის მოგვარებისას დიპლომატიურ ურთიერთობებს ანიჭებს უპირატესობას (გრიშიკაშვილი, 2017).

ირანის ბოლოდროინდელ მდგომარეობაზე ისაუბრა რანჯ ალაალდინმაც თავის 2019 წლის ნაშრომში „ირანის არშემდგარი აღორძინება 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდგომ“. აშშ-ის მიერ ირანზე ემბარგოების დაწესება მან განიხილა, როგორც ჰეგემონი ქვეყნის ქმედება დაიცვას მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში და არ მისცეს ირანს საშუალება, მხარი დაუჭიროს ტერორისტულ დაჯგუფებებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან პროცესების მშვიდობიანად წარმართვას (Alaaldin, 2019). გიგა ჯოხაძემ კი 2020 წელს საზოგადოებას წარუდგინა ნაშრომი - „აშშ-ირანის დაპირისპირება: რეგიონული ინტერესები და მოვლენათა განვითარების სხვადასხვა სცენარი“. როგორც სათაურიდანაც ირკვევა, ავტორმა აქცენტი უფრო მეტად სახელმწიფოთა ინტერესებზე გაამახვილა. მისი გადმოსახედიდან აშშ ირანისთვის დაწესებული სხვადასხვა სანქციით ცდილობს გზიდან ჩამოიცილოს მეტოქე და უზრუნველყოს საკუთარი წამყვანი პოზიცია ახლო აღმოსავლეთში, რომელიც ეგზომ მნიშვნელოვანი პუნქტია. ზემოხსენებული არეალი მდიდარია ნავთობპროდუქტებით, ხოლო ტერიტორიული თვალსაზრისით რუსეთისა და თურქეთის გავლენის გაკონტროლების საშუალებას იძლევა (ჯოხაძე, 2020).

თითოეული ავტორი თანხმდება, რომ აშშ-ის ხელისუფლების მიერ ირანის მიმართ გატარებული პოლიტიკა მნიშვნელოვანი პროგრესის მომტანი სულაც არ არის და ის

უმეტესწილად უშედეგოა, თუმცა, როგორც ვხედავთ, საკმაოდ მრავალფეროვანი მოსაზრებები არსებობს იმაზე, თუ კონკრეტულად რას ემსახურება ამერიკის შეერთებული შტატების ქმედებები და რა მოტივები ამოძრავებს მას ირანის სახელმწიფოსთან მიმართებით.

მეთოდოლოგია

ნაშრომი ეყრდნობა ლიტერატურული წყაროების მიმოხილვის/დამუშავების (იგივე სამაგიდო კვლევის - Desk Research Method) მეთოდს და მოიცავს მეორადი წყაროების ანალიზს.

ბუნებრივია, აშშ-ისა და ირანის ურთიერთობების შესახებ საუბარი ისტორიული ფონის შეფასების გარეშე შეუძლებელია, ამიტომ გაანალიზდა როგორც წერილობითი ისტორიული ნაშრომები, კვლევითი ინსტიტუტების (ასანის საგარეო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტი, კონგრესის კვლევითი სამსახური) მიერ გამოქვეყნებული კვლევები და თემასთან დაკავშირებული აკადემიური მოხსენებები. სხვადასხვა ინტერნეტ-სივრცეში (იქნებოდა ეს ელექტრონული ბიბლიოთეკები თუ სხვა) მოპოვებული წყაროების შესწავლამ საკითხის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის გაცნობისა და თემასთან დაკავშირებული ნიუანსების დანახვის საშუალება მოგვცა.

კვლევის შემდეგ ეტაპზე, სამთავრობო ორგანიზაციების (იარაღის კონტროლის ასოციაცია, აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტი), სახელმწიფოთა საგარეო უწყებების მიერ გამოქვეყნებული მოხსენებების, საკითხთან დაკავშირებული არსებული სამეცნიერო სტატიებისა და ჩვენ მიერ განხილული მოვლენის მონაწილე, მნიშვნელოვან პირთა გამოსვლების გაანალიზებამ საშუალება მოგვცა პასუხი გაგვეცა ჩვენი კვლევის მთავარ კითხვებზე: კონკრეტულად რა მიზანს ემსახურება ეკონომიკური სანქციების შემოღება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ირანის ურთიერთობების შემთხვევაში? რამდენად ეფექტურია ისინი? რა შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს აღნიშნულმა ზემოხსენებული სახელმწიფოები?

კვლევის შედეგები

აშშ-სა და ირანს შორის არსებული დაძაბული სიტუაცია ათეულობით წელიწადს ითვლის. ეჭვგარეშეა, რომ ეს ურთიერთობა დღემდე არასწორხაზოვნად ვითარდება და მრავალი კონფლიქტისა თუ უფრო ფართომასშტაბური დაპირისპირების მომცველიც გახდა.

როგორც აღვნიშნეთ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ირანის დაძაბული ურთიერთობა ერთი ან რამდენიმე წლის შედეგი არ არის. მათი კავშირი და კონფრონტაცია უკვე რამდენიმე დეკადას ითვლის და დღეისათვის საკმაოდ მაღალ ნიშნულს მიუახლოვდა.

პირველი სანქციები აშშ-ის მხრიდან ჯერ კიდევ 1979 წელს დაწესდა, რომლის მიხედვითაც, ირანს ამერიკის მოქალაქეებთან და კომპანიებთან თანამშრომლობა აეკრძალა. 1996 წელს აკრძალვები გაფართოვდა და ევროპული კომპანიებიც მოიცვა (CNN, 2020).

2000-იან წლებში დაიწყო ამერიკის, ევროპისა და ჩინეთის მხრიდან ირანთან მოლაპარაკებები. ისინი მზად იყვნენ გაეუქმებინათ სანქციები იმ შემთხვევაში, თუ ირანი ბირთვული პროგრამის შეზღუდვაზე აიღებდა პასუხისმგებლობას. მოლაპარაკებები ათ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა და საბოლოოდ შეთანხმება შედგა, რომელსაც ხელი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, რუსეთმა, ჩინეთმა და ირანმა მოაწერეს.

სანქციების გაუქმების შემდეგ ბირთვული პროგრამა შეჩერდა. ირანი მსოფლიო ბაზარზე დაბრუნდა და შედეგად უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილი ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა.

2015 წელს ირანი კრიზისის დასასრულს და საერთაშორისო შეთანხმების ხელმოწერას ზეიმობდა, თუმცა უკვე 2018 წლიდან ეს უკანასკნელი აშშ-ის მხრიდან ახალი ეკონომიკური სანქციების სამიზნედ იქცა. ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიისას, 2016 წელს, დონალდ ტრამპი ზემოაღნიშნულ შეთანხმებას უარყოფითად ახასიათებდა. მან 2018 წელს მოულოდნელად დატოვა აღნიშნული შეთანხმება,

რადგან არ სურდა მასში ქვეყანას მიეღო მონაწილეობა და მუდმივად ირწმუნებოდა, რომ ირანი შეთანხმების საკუთარ ნაწილს არ ასრულებდა.

აღსანიშნავია, რომ ევროპამ და დიდმა ბრიტანეთმა ამერიკის ამ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს, ისინი კვლავ 2015 წლის შეთანხმებით განაგრძობენ ირანთან თანამშრომლობას.

უკვე 2019 წლის შუა ხანებიდან ირანმა გამკაცრებულ სანქციებს მოქნილი ბირთვული შეთანხმებებითა და სპარსეთის ყურესა და ერაყში გატარებული პროვოკაციული ქმედებებით უპასუხა.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა საერთაშორისო აქტორების მიერ ირანზე სანქციების დაწესება თითქმის ოთხი ათწლეულია გრძელდება. მათი ამგვარი პოლიტიკა მიზნად ისახავს ირანის იძულებას შეცვალოს საკუთარი საგარეოპოლიტიკური კურსი და დაემორჩილოს მათ მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.

1979 წელი ისტორიაში დარჩა, როგორც პირველი, მაგრამ არა უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ჯიმი კარტერმა გამოიყენა 1977 წელს საერთაშორისო საგანგებო ეკონომიკური ძალების აქტის (IEEPA) მიერ დაკანონებული უფლებამოსილება და მკაცრი ეკონომიკური წნეხის ქვეშ მოაქცია ირანის სახელმწიფო. ამერიკის მიერ ირანზე დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს დღემდე კიდევ უამრავი ახალი დაემატა (Hewitt & Nephew, 2019). ისლამური რევოლუციისა და მძევლების კრიზისის შედეგად მიღებული სანქციები მიზანმიმართული იყო იმისკენ, რომ ირანი დროულად მოსულიყო გონს და რაც შეიძლება სწრაფად შეეწყვიტა ტერორისტული აქტების მხარდაჭერა, რაც ესოდენ მიუღებელი იყო არა მხოლოდ ამერიკისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც. რასაკვირველია, აღნიშნული ითვალისწინებდა ახლო აღმოსავლეთში ირანის მძლავრი გავლენის შემცირებასაც, ეს კი ბუნებრივად გამოიწვევდა ქვეყნის სამეზობლოში ამერიკისთვის ხელსაყრელი ვითარების ჩამოყალიბებასა და რეგიონში ფეხის ფართოდ მოკიდებას (Torbat, 2005). სწორედ აქედან იწყება ირან-ამერიკის დაძაბული ურთიერთობების ფორმირებაც.

სანქციების შემდგომი ტალღა 1984 წელს უკავშირდება, როცა აშშ-მა ირანი ტერორისტების მხარდამჭერთა სიაში შეიყვანა. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ლიბიაში განლაგებულ ამერიკის საზღვაო ყაზარმებზე განხორციელებულ ტერორისტულ შეტევაში ირანის სავარაუდო თანამონაწილეობამ განაპირობა.

დამატებითი ღონისძიებები გატარდა ირან-ერაყის 8-წლიანი ომის დროსაც, რომელსაც სპარსეთის ყურის პირველი ომის სახელითაც ვიცნობთ (1980-1988 წწ). აღნიშნული ომი დამანგრეველი აღმოჩნდა. მან უდიდესი ზიანი მოუტანა არა მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებს, არამედ მთლიანად სამეზობლოსაც. სწორედ ეს ომი გახდა სათავე შემდგომი წლების იმ საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი პოლიტიკური ქეისების განვითარებისათვის რეგიონული მასშტაბით, როგორიცაა 1990 წელს ერაყის ძალისმიერი მეთოდებით შეჭრა ქუვეითში, ხოლო 2003 წელს აშშ-ს ინტერვენცია საკუთრივ ირანში (Riedel, 2013).

თანამედროვეობის ისტორიაში ირანსა და ერაყს შორის განვითარებული ომი იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დაფიქსირდა ქიმიური იარაღის მასობრივი გამოყენების ფაქტები. რადგანაც ამერიკას არც ერთ ზემოხსენებულ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობა არ ჰქონია, შეიარაღებულ სამხედრო დაპირისპირებაში იგი ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა, თუმცა კი ვერ დაუშვებდა, რომ რომელიმე მათგანს რეგიონში დაწინაურებული პოზიცია მოეპოვებინა, ანუ გამხდარიყო აღნიშნულ ტერიტორიაზე ზესახელმწიფო და ხელში ჩაეგდო ირანის ტერიტორიაზე არსებული მნიშვნელოვანი ნავთობსაბადოები, რომლებიც ეგზომ ძვირადღირებული იყო. ამიტომაც, სულ მალე აშშ-მა ევროპულ სახელწიფოებთან ერთად დაიწყო ერაყის მხარდაჭერა, რის შედეგადაც ისინი სადამ ჰუსეინის ხელისუფლებას სხვადასხვა სახის იარაღით ამარაგებდნენ და ეკონომიკურ დახმარებასაც უწევდნენ. 1986 წლიდან კი ამერიკის პრეზიდენტი რონალდ რეიგანი ერაყის საიდუმლო იარაღის მიმწოდებელიც კი გახდა (Pollack, 2017).

ამერიკის მხრიდან 1987 წელს განახლებულ სანქციებს ირანის ეკონომიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით დაბლოკვა ჰქონდა მიზნად. ამას გარდა, აღნიშნულ ქმედებებს მსოფლიოსთვის უნდა ეჩვენებინა, როგორ პასუხობდა ამერიკა ირანის

„უმსგავსო“ საქციელს არა ომით, არამედ დიპლომატიური საშუალებებით (გრიშიკაშვილი, 2017). თავის მხრივ, დასავლეთი ამ უკანასკნელს იზიარებდა და სოლიდარობას უცხადებდა ამერიკის პასუხს ირანის მიერ სუვერენული პოლიტიკის გატარების მცდელობაზე. ამ ყოველივემ ირანის ეკონომიკური განვითარება საგრძნობლად შეაფერხა და ნავთობსა და ბუნებრივი გაზის რეალიზებაზე დამოკიდებულ სახელმწიფოს დიდი მოცულობის სესხების აღება აიძულა. ასევე დიდ ვალებში ჩაფლულმა ერაყმა გამოსავალი ქუვეითზე კონტროლის აღებაში დაინახა და ამგვარად დაიწყო კიდეც სპარსეთის ყურის მეორე ომი (1990-1991 წწ.) (ტკაჩენკო, 2017). აღნიშნული მოვლენა, რომელიც მასში ჩართული სახელმწიფოების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, წარმოადგენდა უმსხვილეს კოალიციას (მსგავსი შემთხვევა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ არ მომხდარა). მასში სხვადასხვა ხარისხითა და სიხშირით ჩართული აღმოჩნდა 35 ქვეყანა, რომლებიც ერთობლივი ძალებით დაუპირისპირდნენ სადამ ჰუსეინის დიქტატორული მმართველობის ქვეშ მყოფი ერაყის მიერ ქუვეითში ძალისმიერი მეთოდებით შეჭრას (Anscombe, 2016). ზოგიერთმა მკვლევარმა სპარსეთის ყურის მეორე ომი 40 წლის წინ ჩრდილოეთ კორეის სამხრეთ კორეაში შეჭრასაც კი შეადარა (Hunt, 1998).

ირანზე დაწესებულმა სანქციებმა უშუალო გაფართოება 1995 წელს ჰპოვა. ამავე წელს ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა განაცხადა, რომ ირანი საფრთხეს წარმოადგენდა ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით. სანქციები დაწესდა ირანის ენერგეტიკულ სფეროშიც, რაც ემსახურებოდა ქვეყნის ბირთვული პროგრამისთვის წინააღმდეგობის გაწევას. ამასთან, იგი საშუალებას არ აძლევდა ირანს წვდომა ჰქონოდა საერთაშორისო საბანკო თუ საფინანსო სისტემასთან, იკრძალებოდა ექსპორტიც და სხვადასხვა ინვესტიციაც ნავთობისა და ბუნებრივი გაზის სექტორში (Gold, 2012).

თუკი რევოლუციამდე ირანი კორეის, მალაიზიის და თურქეთის მსგავსად სწრაფად განაგრძობდა ეკონომიკურ წინსვლასა, მეოცე საუკუნის მიწურულს ეს ასეთი ადვილი აღარ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ირანს ნახშირწყალბადების რესურსების რაოდენობით განვითარების საკმაოდ დიდი შანსი გააჩნდა, საერთაშორისო ზეწოლამ მაინც თავისი სიტყვა თქვა. მკაცრმა სანქციებმა ირანს უდიდესი დაბრკოლებები

შეუქმნა, რაც მალევე ნათლად აისახა ქვეყნის მდგომარეობაზეც (Aminifard, 2013). ემბარგოების დაწესების ოფიციალურ მიზეზად ამერიკამ დაასახელა ის, რომ ირანი კვლავ განაგრძობდა ტერორისტული ჯგუფების მხარდაჭერასა და დახმარებას, ცდილობდა წვდომა ჰქონოდა ბირთვულ იარაღზე და, რაღა თქმა უნდა, ამით აფერხებდა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანი პროცესების წარმართვას (Alaaldin, 2019).

შეზღუდვები არ მოხსნილა და დამთავრებულა მომდევნო საუკუნეშიც. 2002 წელს ჯორჯ ბუშმა სიტყვით გამოსვლისას ირანი ჩრდილოეთ კორეასა და ერაყთან ერთად "ბოროტების ღერძად" მოიხსენია. ცალკე ამბავი იყო ისიც, რომ აშშ-ზე 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შედეგად დასავლეთისა და ახლო აღმოსავლეთის ურთიერთობა ისედაც დაძაბული იყო. ბუშის განცხადებას ირანში დიდი აღშფოთება მოჰყვა. მალევე ქვეყნის ოპოზიციურმა ჯგუფმა საჯაროდ გააჟღერა ირანის მხრიდან ბირთვული იარაღის განვითარების პროგრამაზე მუშაობის შესახებ. რასაკვირველია, მოწინააღმდეგეებისგან პასუხად მასშტაბური პროტესტი მიიღეს. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურმა თეირანმა ეს ბრალდება არ დაადასტურა, გაეროს, აშშ-ისა და ევროკავშირის მხრიდან გაცემულმა სანქციებმა ირანს ისევ მძიმედ დააჭირა ფეხი. შემდგომ, 2005 წელს ირანის ხელმძღვანელად ულტრა კონსერვატორი მაჰმუდ აჰმადინეჯადის მოსვლამ დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთობა უარესად დაძაბა (Fayazmanesh, 2008).

ბირთვულ მისწრაფებებთან ერთად, ირანისთვის დაწესებული სანქციებიც იზრდებოდა. ამის შემყურე პოლიტიკოსები დაუფარავად ამბობდნენ, რომ თუკი ირანი თავის საწადელს მიაღწევდა, სერიოზულ პრობლემებთან მოუწევდა მსოფლიოს შეჭიდება (Waltz, 2012). 2013 წელს ირანის პრეზიდენტის კიდევ ერთხელ შეცვლის შემდეგ, როცა ქვეყნის სათავეში ჰასან როუჰანი მოვიდა, 20 წლის მანძილზე პირველად განხორციელდა სატელეფონო კავშირი ირანის პრეზიდენტსა და ბარაკ ობამას შორის. მხარეები შეთანხმდნენ, რომ დაიწყებდნენ ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო არსებული სადავო საკითხების გადაჭრას (ბიბილაშვილი, 2015). შედეგად, 2015 წელს მიღწეულ იქნა შეთანხმება ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ირანის ისლამურ რესპუბლიკას, გაეროს უშიშროების საბჭოს წევრებსა

და გერმანიას შორის. ამ შეთანხმებით ბოლო მოეღო სანქციების უდიდეს ეპოქას, ხოლო ირანის ბირთვული პროგრამა საერთაშორისო კონტროლის ქვეშ გადავიდა.

როგორც აღმოჩნდა, ირანის ბედნიერებას დიდი დრო არ ეწერა, რადგან ბირთვული გარიგების დატოვების შესახებ განცხადება დონალდ ტრამპმა ოფიციალურად 2018 წლის მაისში გააკეთა. ამერიკის იმდროინდელი პრეზიდენტი წინამორბედისგან განსხვავებით თვლიდა, რომ შეთანხმებას სასიკეთო არაფერი მოჰქონდა, რადგან ირანის "ბოროტი ქმედებები" კვლავ ძალაში რჩებოდა. ამავე წლის 8 მაისს, მან ამერიკის მხრიდან ირანთან მიმართებით სანქციები განაახლა. მათ თანახმად, ამერიკულ კომპანიებს ირანთან სხვადასხვა ძვირფასი ლითონით, ნახშირით და სხვა მრავალი პროდუქტით ვაჭრობა აეკრძალა (Resource Center, 2018). ეს ამცირებდა ამერიკული დოლარის მიმოქცევას ამ სახელმწიფოში და, შესაბამისად, აძლიერებდა ზეწოლას ირანულ ფულზე. აღნიშნული მომენტიდან ირანული ვალუტის - რიალის მკვეთრი გაუფასურება დაიწყო. ამის ფონზე სულ უფრო და უფრო მეტად მწვავდებოდა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარება, იმატებდა უმუშევრობის დონე, ინფლაციის მაჩვენებელი, გაიზარდა წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგების შეზღუდვა. უკანასკნელი სანქციები შეფასებულია, როგორც ყველა დროის უმკაცრესი ზომები, რომელიც აშშ-ს ოდესმე ირანის წინააღმდეგ დაუწესებია.

ოფიციალური ვაშინგტონი თეირანს ბალისტიკური რაკეტების განვითარებაში კვლავ სდებს ბრალს და აღნიშნავს, რომ იგი აქტიურად თანამშრომლობს შეიარაღებულ დაჯგუფებებთან, რომლებსაც ამერიკა ტერორისტებად მიიჩნევს. ამიტომაც, აშშ-მა ძველ სანქციებს კიდევ ახლები დაუმატა და საბოლოოდ, შავ სიაში ირანის დაახლოებით 300 მოქალაქე თუ ორგანიზაცია შეიყვანა, აკრძალა ნავთობის ექსპორტი, ვაჭრობა, საბანკო ოპერაციები და სხვა. 2019 წლის დასაწყისამდე მხოლოდ რვა სახელმწიფოს მიეცა უფლება, შეეძინა ირანისგან ნავთობი. საგულისხმოა, რომ ადრინდელისგან განსხვავებით, ბოლოდროინდელ სანქციებს ევროკავშირი მხარს აღარ უჭერს. საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და გერმანია "ბირთვული შეთანხების" გადარჩენას კვლავაც ცდილობენ (Masterson, 2020).

დამატებით, აშშ-მა ირანის არმიის ელიტური ქვედანაყოფი საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციად დაასახელა, ხოლო საპასუხოდ თეირანმა მუქარის სახით განაცხადა, რომ იგი ჰორმუზის სრუტეს ჩაკეტავდა, რომელიც ძალიან დიდ როლს ასრულებს ნავთობის მიწოდებაში მსოფლიოს მასშტაბით. სწორედ აღნიშნული სრუტის საშუალებით ხდება მსოფლიოს ნავთობის 30%-ის ტრანსპორტირება (ჭიღლაძე, 2019).

2020 წლის 3 იანვარს დონალდ ტრამპის ბრძანებით ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტზე მიტანილმა წერტილოვანმა იერიშმა, ირანის გენერალი ქაზიმ სულეიმანი იმსხვერპლა. ირანის უმაღლესი სულიერი ლიდერი, აიათოლა ალი ხომეინი, თავდასხმის ორგანიზატორებს შურისძიებით დაემუქრა. რეგიონში სიტუაცია უკიდურესად დაძაბული იყო, რადგან არავინ უწყოდა, რა იქნებოდა ირანის შემდგომი ნაბიჯი. მკვლევართა გარკვეულმა ჯგუფმა აეროპორტზე შეტევა აშშ-ს მიერ ირანისთვის დე-ფაქტო "საომარი მდგომარეობის" გამოცხადებადაც კი ჩათვალა (ჯოხაძე, 2020). თავის გამოსვლაში, ერაყში აშშ-ის ბაზებზე თავდასხმის შემდეგ, ტრამპმა ირანი კვლავ ტერორიზმის მთავარ დამფინანსებელად მოიხსენია და პირობა დადო, რომ აუცილებლად მოუღებდა ბოლოს ირანის ასეთ პოლიტიკას. ამასთან, ამერიკის პრეზიდენტი სულეიმანის მკვლელობას ირანის მთავარი ტერორისტის ლიკვიდაციად მოიხსენიებს, ხოლო NATO-ს თხოვნით მიმართავს, გაზარდოს საკუთარი ჩართულობა შუა აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში ("Trump's Iran speech", 2020).

რასაკვირველია, ამერიკას ახლო აღმოსავლეთში თავისი ინტერესები ამოძრავებს. უპირველეს ყოვლისა, ეს ნავთობპროდუქტებზე დაბალი ფასების შენარჩუნებას უნდა უკავშირდებოდეს. გარდა ამისა, აშშ-ის მიზანია გაიღრმავოს თავისი სამხედრო და პოლიტიკური პოზიციები ახლო აღმოსავლეთში და არ მისცეს ირანს ბირთვული ამბიციების დაკმაყოფილების საშუალება; ამასთანავე, არ დაუშვას რუსეთისა და თურქეთის დომინირება რეგიონში (ჯოხაძე, 2020).

კორონა ვირუსის პანდემიის გავრცელების პირობებში, აშშ-ის განახლებულმა სანქციებმა საერთაშორისო კრიტიკა გამოიწვია. ამერიკის მხრიდან აღნიშნული

მოქმედება ეპიდსიტუაციას კიდევ უფრო მეტად ამწვავებს. ირანში დაინფიცირებულთა და ვირუსით გარდაცვლილთა საკმაოდ მაღალი რაოდენობა აღინიშნება. ამას ისიც განაპირობებს, რომ სანქციები კრძალავს ჰუმანიტარულ ტრანზაქციებს. ხელისუფლებას განადგურებული ეკონომიკისა და ჯანდაცვის სისტემის ფონზე უჭირს თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავება. 2020 წლის მარტში ამერიკამ ამ კუთხით შეზღუდვების შერბილება და პირველადი დახმარების აღმოჩენაში დახმარება გადაწყვიტა, თუმცა ირანისგან შეთავაზებაზე უარი მიიღო. ჰასან როუჰანის ხელისუფლებას კი კვლავ უდიდესი სესხის აღება მოუხდა (5 მილიარდი) (Katzman, 2020).

ვირუსის გავრცელებამ ირან-ამერიკის დაძაბული ურთიერთობა დროებით უკანა პლანზე გადასწია, თუმცა ორ ქვეყანას შორის განვითარებულ ფარულ თუ აშკარა კონფრონტაციის შესაძლო შედეგებზე სხვადასხვა წრეები კვლავაც აქტიურად საუბრობენ.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ისა და ირანის უთანხმოებებს განსხვავებული მიზეზები ჰქონდა, განმაპირობებელ ფაქტორთა გარკვეული კუთხით სისტემატიზირება მაინც შეგვიძლია. ის ფაქტი, რომ ირანი მუდმივად ეცილებოდა ამერიკას აღმოსავლეთ რეგიონში მმართველობას, ყოველთვის ცხადი იყო. აღნიშნული პროცესი დღესაც გრძელდება. ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს იმის აღნიშვნაც, რომ ამ რეგიონით დაინტერესებას, როგორც ირანის, ასევე აშშ-ისა და სხვა სახელმწიფოთა მხრიდან, მრავალი ასპექტი განაპირობებს და სამხედროსთან ერთად, პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებიც იწვევს.

თვალსაჩინოა, რომ აშშ რეგიონში საკუთარი ინტერესების გატარებასა და აქ არსებული უთანხმოების დარეგულირებას ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო სანქციებით ცდილობდა. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ სანქციები არაეფექტურია და მათ სხვა დიპლომატიურ ურთიერთობებს ამჯობინებენ. აშშ-ირანის ურთიერთობის განხილვისას აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ დიპლომატიურ ურთიერთობებზე ჯერ კიდევ 1980 წელს ითქვა უარი არაეფექტურობის გამო. ამავე წელს უკავშირდება ირანისკენ მიმართული პირველი

სანქციაც. დაძაბული ურთიერთობის დიპლომატიური გზით მოგვარების მცდელობა იყო 2006 წელსაც, როცა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მზადყოფნა გამოთქვა მოლაპარაკებებისთვის და 2008 წელს, ირანში ამ მიზნით წარმომადგენელი გაგზავნა. ასევე, მზაობას გამოთქვამდა ბარაკ ობამა 2009 წელს, ირანელ ლიდერებთან ხელის ჩამორთმევის შესახებ საუბრისას, იმ პირობით, თუ ისინი პირველი გაუწვდიდნენ ხელს. უკვე 2012 წელს მიღებული კანონი ამავე პრეზიდენტს სანქციების დაწესების უფლებას აძლევდა იმ უცხოური ბანკებისთვის, რომლებიც ირანიდან ნავთობის იმპორტს არ შეამცირებდნენ (მარტივად რომ ვთქვათ, ვინც ირანის ეკონომიკური კრიზისის გამწვავებას ხელს არ შეუწყობდა). ამავე წელს დაიწყო საიდუმლო მოლაპარაკებები ამ ორ სახელმწიფოს შორის, თუმცა უკვე 2018 წლიდან აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა კურსი კვლავ შეცვალა და დემოკრატიულ-მშვიდობიან პოლიტიკას სანქციებითა და პირდაპირი დარტყმებით ურთიერთობის „ნორმალიზება“ ამჯობინა. სანქციები გავრცელდა იმ ქვეყნებსა და კომპანიებზეც, რომლებიც ირანთან ვაჭრობდნენ. ყოველივე ეს კი იმით მართლდებოდა, რომ ამერიკა ზრუნავდა, სახელმწიფოები შემთხვევით ფულის გათეთრებისა და ტერორისტთა დაფინანსება-ხელშეწყობის პროცესის მონაწილე არ გამხდარიყვნენ (FinCEN, 2018).

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდიდან მოყოლებული ამერიკასა და ირანს შორის არსებული ურთიერთობები მეტად ნეგატიურად ვითარდება - 2019 წლის დასასრული და 2020 წლის დასაწყისი განსაკუთრებულად მწვავე აღმოჩნდა.

ირანში არსებული ეკონომიკური ვითარება უკიდურესად მძიმდება, ხოლო ტრამპი დღემდე ინტენსიურად განაგრძობს სანქციების გატარებას, რათა შეასუსტოს ირანის ეკონომიკური ძლიერება, შესაბამისად, სამხედრო-პოლიტიკური გავლენა აღმოსავლეთის რეგიონში და მათი მხრიდან ბირთვულ იარაღთან წვდომის შესაძლებლობა.

დასკვნა

მოვლენათა ქრონოლოგია თვალსაჩინოს ხდის, რომ ირანსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესი მეტ-ნაკლებად, როგორც მიმდინარე, ასევე წინა საუკუნეშიც იყო, თუმცა ისინი თითქმის უმეტესად უშედეგოდ სრულდებოდა. ამერიკის მხრიდან აღნიშნულის მიზეზად მუდმივად ირანის მიერ დარღვეული დაპირებები და მათი საფრთხისშემცველი ქმედებები სახელდებოდა, ხოლო ირანი ამერიკის აგრესიული პოლიტიკისა და მათი ჩარევის წინააღმდეგ ილაშქრებდა საშინაო პოლიტიკაში. შედეგი ერთია, ამერიკა უფრო მეტად სანქციათა ვარიაციების ცვლაზე მუშაობს, ამჯობინებს ხისტ სტრატეგიას და ირანს უმკაცრესი სანქციებისგან გათავისუფლების საშუალებას არ აძლევს. მუდმივად ითვლებოდა, რომ მკაცრი ზომები სიტუაციას გამოასწორებდა, თუმცა ვხედავთ შედეგს, აშშ-ის რადიკალური ქმედება ასეთსავე პასუხს იწვევს ირანის მხრიდან, რასაც რაიმე კონკრეტულ ლოგიკურ გამოსავლამდე არ და ვერ მივყავართ.

მართალია, თანამედროვე გამოწვევამ პანდემიის სახით, დროებით გაყინა კონფლიქტები და საერთაშორისო პოლიტიკურმა საკითხებმა შედარებით უკანა პლანზე გადაწია, მაგრამ ცხადია, ეს დიდხანს არ გაგრძელდება.

კვლევის შედეგად, ძირითადად, გამოიკვეთა აზრი, რომ ფართომასშტაბური ომის დაწყება ნაკლებად სავარაუდოა, რადგანაც ასეთი ნაბიჯი არც ერთი მხარისთვის არ უნდა იყოს სიკეთის მომტანი, თუმცა, ექსპერტთა ნაწილის შეხედულებათა თანახმად, ახლო აღმოსავლეთი შესაძლოა "ახალი ცივი ომის" კერად გადაიქცეს, რომელშიც ერთმანეთის წინააღმდეგ, ბუნებრივია, ერთი მხრივ, ამერიკა და მისი მომხრეები იქნებიან, ხოლო მეორე მხრივ ირანი და მისი მოკავშირეები. მხარეთა მხრიდან მწვავე მუქარების მიუხედავად, მართალია, მსოფლიო ომის დაწყების ბევრს არ სჯერა, თუმცა აქტიურად განიხილება ირანის მიერ რეგიონში მოწინააღმდეგეთა მიმართ განხორციელებული შესაძლო შეტაკებები, უმთავრესად კი, საუდის არაბეთსა და ისრაელთან. მსგავსი სცენარი კი ირანის ამერიკისადმი შურისძიებით იქნება განპირობებული.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ძლიერ სახელმწიფოს შორის ურთიერთობები პერიოდულად სახეს იცვლის და სრული ანარქიულობით ხასიათდება, ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, მათი მიზნები და ქმედებათა საფუძვლები იცვლება „უსაფრთხოების შენარჩუნებიდან მსოფლიო ბატონობამდე“ (რონდელი, 2006).

ბიბლიოგრაფია

ბიბილაშვილი, მ. “*ირან-ამერიკის ურთიერთობა და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები: რეალიზმი, ლიბერალიზმი და კონსტრუქტივიზმი”.* თბილისი, თავისუფალი უნივერსიტეტი, 2015.

გოგილავა, ი. „ამერიკის შეერთებული შტატები და 1953 წლის გადატრიალება ირანში“. თბილისი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2019.

გოგოხია, ო. „ირანისა და იაპონიის ურთიერთობები სანქციების პირობებში“. თბილისი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2019.

გრიშიკაშვილი, ა. “*XX საუკუნის ირანის პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორია თანამედროვე პრობლემატიკის კონტექსტით”.* თბილისი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, 2017.

რონდელი, ა. საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი: ნეკერი, მესამე განახლებული გამოცემა, 2006.

ტკაჩენკო, ე (2017, 28 დეკემბერი). “*სპარსეთის ყურის მეორე ომი”.* (ბოლო ნახვა: 6 ივნისი). https://konpliqtebi2017.wordpress.com

ჭიღლაძე, თ. *“ირანის ფაქტორი თურქეთის საგარეო პოლიტიკაში”.* თბილისი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2019.

ჯოხაძე, გ. *“აშშ-ირანის დაპირისპირება: რეგიონული ინტერესები და მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარები”.* Foreign Policy Council, 2020. ბოლო ნახვა: 6 ივნისი, 2020. https://foreignpolicycouncil.com

Alaaldin, R. (2019, March 11). *"Iraq's Failed Uprising After The 1979 Iranian Revolution"*. Brookings. Retrieved June 6, 2020, from The Web Site: https://www.brookings.edu/blog/order-from-chaos/2019/03/11/iraqs-failed-uprising-after-the-1979-iranian-revolution/

Aminifard, A. (2013). "*Do Sanctions Work? The Iran Sanctions Regime and its Implicants for Korea" (pp. 35-45, Rep.)* (Jang J. & Lee P., Eds.). Asan Institute for Policy Studies.

Anscombe, Ch (2016, January 15). "*A New World Order - The Importance of the Gulf War then and now".* University of Nottimgham. Retrieved April 30, 2020, From The Web Site: https://blogs.nottingham.ac.uk/newsroom/2016/01/15/a-new-world-order-the-importance-of-the-gulf-war-then-and-now/

BBC. (2020, January 6). Retrieved June 3, 2020, from BBC Web Site: https://www.bbc.com/news/world-middle-east-24316661

CNN. (2020, January 11). Retrieved June 3, 2020, from CNN Web Site: https://edition.cnn.com/interactive/2020/01/world/us-iran-conflict-timeline-trnd/

Fayazmanesh, S (2008). *"The United States and Iran: Sanctions, Wars and the policy of Dual Containment".* Taylor & Francis E-Library.

Gold, B. (2012, March 1). (Rep.). "*Fast Sheet: Significant Iranian Sanctions Since 1995".* American Security Project. Retrieved June 6, 2020.

Hewitt, K & Nephew, R (2019, March 12). "*How the Iran Hostage Crisis Shaped the US Approach to Sanctions"*. Brookings. Retrieved June 5, 2020, from Brookings Web Site: https://www.brookings.edu/blog/order-from-chaos/2019/03/12/how-the-iran-hostage-crisis-shaped-the-us-approach-to-sanctions/

Hunt, P (1998). "*Coalition Warfare: Considerations for the Air Component Commander"* (p. I, Rep.). Air University Press. PP. 23-36.

Katzman, K. "Iran Sanctions". Congressional Research Service. Last updated: April 14, 2020.

Masterson, J. (2020, May). "*Fact Sheets & Briefs: Timeline of Nuclear Diplomacy with Iran."* Arms Control Association. Retrieved June 6, 2020, from The Web Site: https://www.armscontrol.org/factsheets/Timeline-of-Nuclear-Diplomacy-With-Iran

Pollack, K. (2017, December 1). (Rep). "*Iraq in Iran".* Atlantic Council.

Resource Center. “May 2018 Guidance on Reimposing Certain Sanctions with Respect to Iran”. U.S. department of the Treasury. Last updated: May 11, 2018.

Riedel, B (2013, May 22). “*Lessons from America’s First War with Iran”.* Brookings. Retrieved June 6, 2020, from Brookings web Site: https://www.brookings.edu/articles/lessons-from-americas-first-war-with-iran/

“Trump’s Iran speech”. The Washington Post (January 8, 2020). Retrieved June 7, 2020, from The Web Site: https://www.washingtonpost.com/politics/2020/01/08/transcript-trumps-iran-speech/

Torbat, A. E. (2005). “*Impacts of the US Trade and Financial Sanctions on Iran”*. The World Economy. California State University.

Waltz, K. N. (2012, July/August). "*why Iran Should Get the Bomb, Nuclear Balancing Would Mean Stability*." Foreign Affair.

FinCEN Advisory. *“Advisory on the Iranian Regime’s Illicit and Malign Activities and Attempts to Exploit the Financial System”.* United States Department of the Treasury, October 11, 2018.